

**სკოლა „აპოდიქსის“ მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კონკურსები, მიღწევები
2015- 2016 სასწავლო წელი**

#	მნიშვნელოვანი ღონისძიებები/კონკურსები / მიღწევები	მოკლე აღწერა	დრო
1.	ახალი სასწავლო წლის დასაწყისი	ახალი 2015- 2016 სასწავლო წლის დასაწყისი სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა ზეიმით აღნიშნეს https://www.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.787294281382555.1073741916.100003059724747&type=3&pnref=story	14.09.15
2.	ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის 22-ე წლისთავი	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის 22-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.	17. 10. 15
3.	სკოლა „აპოდიქსის“ 2015 – 2016 სასწავლო წლის პირველკლასელები	სკოლა „აპოდიქსის“ პირველკლასელთათვის დღეს სასწავლო დღე იყო. „აპოდიქსის“ მოსწავლეები ღონისძიებებით შეხვდნენ პატარებს. მოსწავლეებმა პედაგოგებსაც მიულოცეს მასწავლებლის დღე - ისაუბრეს პედაგოგის ღვაწლსა და ამაგზე. სკოლა „აპოდიქსის“ დირექციამ პირველკლასელებს საჩუქრად გადასცა „დედაენა“ და სპეციალურად მათთვის დამზადებული კალენდრები მათივე ფოტო - სურათებით. „აპოდიქსის“ ტრადიციული გათამაშების - „ჯადოსნური ყუთის“ გამარჯვებული გახდა კლასის მოსწავლე - გიგი ცომაია, რომელსაც წილად ხვდა პირველი ზარის აწკრიალება; პირველკლასელები, სიმბოლურად, მერხებთან სკოლის მეთორმეტე კლასელებმა მიაცილეს. https://www.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.797193957059254.1073741917.100003059724747&type=3&uploaded=59	05.10.15
4.	„შეხვედრა ღვაწლმოსილ პედაგოგებთან“	„აპოდიქსის“ პედაგოგებმა (მაია ოდიშარიამ, ლელა გაბრავამ, თამარ ადამიამ, ნათია დავლაძემ, თეა ტყეშუჩავამ, ანა კილასონიამ, ლალი გოგიამ, შორენა კორშიამ) მონაწილეობა მიიღეს (მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ) აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საღამოში: „შეხვედრა ღვაწლმოსილ პედაგოგებთან“. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.800306556747994.1073741918.100003059724747&type=3 ვიდეო მასალა: https://www.youtube.com/watch?v=uX4kGSD-1T8	07.10.15

5.	მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX)	მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) პირველ შესარჩევ ტურში მონაწილეობა მიიღეს სკოლა „აპოდიქსის“ IX - XI კლასის მოსწავლეებმა, მოსწავლეებმა: გია ხორავამ და გიორგი გვიჩიამ წარმატებით დაძლიეს პირველი ტური. https://www.facebook.com/photo.php?fbid=800287326749917&set=a.185144294930893.34256.100003059724747&type=3&theater	12.10.15
6.	მოსწავლის დღიური	სკოლა „აპოდიქსმა“ შეიმუშავა საკუთარი დღიური („მოსწავლის მეგზური“), რომელიც გააადვილებს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობას... https://www.facebook.com/photo.php?fbid=800310156747634&set=pcb.800310213414295&type=3&theater	12.10.15
7.	„ეტალონი-2016“	სკოლა „აპოდიქსის“ XI კლასის მოსწავლემ გია ხორავამ მონაწილეობა მიიღო „ეტალონი-2016“-ის რეგიონალურ შესარჩევ ტურში, რომელშიც სენაკის საჯარო და კერძო სკოლების 14 მოსწავლე მონაწილეობდა. გიამ წარმატებით გადალახა I და II ტური (მეორე ტურში ის ქულით - მეორე ადგილს იკავებდა), ფინალურ III ტურში ექვსმა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა, მათგან სამმა მონაწილემ მსგავსი ქულები მოიპოვა, იმოქმედა მხოლოდ დროის ფაქტორმა და მხოლოდ წამებმა გადაანაწილა პირველი სამეული, რომელშიც ჩვენმა გიამაც საპატიო ადგილი დაიკავა. https://www.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.80188866589783.1073741919.100003059724747&type=3&pnref=story	16.10.15
8.	ნახატების კონკურსი სკოლის მოსწავლეთათვის „ჩემი ტყე“	ნახატების კონკურსში - „ჩემი ტყე“, მონაწილეობა მიიღო სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლის ნამუშევარმა (პედაგოგი - თეა ტყეებუჩავა)	20.10.15
9.	„აპოდიქსელები“ ეგრისობაზე...	ლუკა პერტაია (VIII კლ.), მარიამ მირცხულავა (X კლ.), მარიამ ქაქუთია და ლიზი ყურაშვილი (IX კლასი). სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს „ეგრისობაში“ ქორეოგრაფიული ნომრებით. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.808561239255859.1073741920.100003059724747&type=3&pnref=story	1.11.15
10.	„რა? სად? როდის?“	5 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“ • შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ X, XI და XII კლასის მოსწავლეები; თამაში საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა: ინტელექტუალური კითხვარები, ფოტო - ვიქტორინები, შეჯიბრი კაპიტნებს შორის - მოსწავლეებმა გამოამყლანეს სხვადასხვა სფეროში დაგროვილი ცოდნა; საბოლოოდ, ოთხი გუნდიდან ორმა გუნდმა თანაბარი (17 – 17) ქულა დააგროვა, რის გამოც ორივე გუნდის ყველა მონაწილე გამოცხადდა გამარჯვებულად. • გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.809716425807007.1073741921.100003059724747&type=3&pnref=story	05. 11. 15

11.	„ეტალონის“ შესარჩევი ტური X – XII კლასებში	ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ სასკოლო „ეტალონში“, რომელიც ჩატარდება 18 ნოემბერს სკოლა „აპოდიქსში“. https://web.facebook.com/photo.php?fbid=812245698887413&set=a.185144294930893.34256.100003059724747&type=3&theater	11.11.15
12.	შემოდგომის ფერები... (III და IV კლასის ღონისძიება)	16 ნოემბერს სკოლა „აპოდიქსის“ III და IV კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს შემოდგომის კუთხე და ღონისძიებით გააცილეს წლის ეს ულამაზესი დრო. (ხელმძღვანელი - ანა კილასონია; პედაგოგები: ლალი გოგია - მუსიკალური გამფორმებელი და მაკა ცხადაია). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.815849518527031.1073741924.100003059724747&type=3&pnref=story	16. 11. 15
13.	ოქროსფერი ფოთლები...	19 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ I კლასის მოსწავლეებმა ხალისიანად გაცილეს ოქროსფერი - ბარაქიანი შემოდგომა; პატარები ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ღონისძიების თითოეულ მოსწავლეს გადაეცა სიგელი. (ღონისძიების ხელმძღვანელი - მაკა გიორგაძე, მუსიკალური გამფორმებელი - ლალი გოგია). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.815744551870861.1073741923.100003059724747&type=3&pnref=story	19. 11. 15
14.	FLEX - მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა	სკოლა „აპოდიქსის“ XI კლასის მოსწავლემ - გია ხორავამ წარმატებით დაძლია FLEX – ის მეორე ტური და გადავიდა - მესამე ტურში. https://web.facebook.com/photo.php?fbid=818034868308496&set=a.185144294930893.34256.100003059724747&type=3&theater	24. 11. 15
15.	„ეტალონი“ სკოლა „აპოდიქსის“ X – XII კლასებში	25 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ X – XII კლასებში ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება - „ეტალონი“, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა XII კლასის მოსწავლემ - ავთო ბერაიამ; მეორე ადგილი მოიპოვა ნინო გოგიამ (XII კლ.), ხოლო მესამე ადგილი - მერაბ ნაროშვილმა (X კლ.). გამარჯვებული მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით, მეორე - მესამე ადგილის მფლობელ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.818501284928521.1073741925.100003059724747&type=1	25.11.15
16.	სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის პირველი ტური	„აპოდიქსის“ XI კლასის მოსწავლემ, გიორგი ხორავამ, გადალახა სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის პირველი ტური. https://web.facebook.com/photo.php?fbid=822198277892155&set=a.185144294930893.34256.100003059724747&type=3&theater	28. 11. 15
17.	„რა? სად? როდის?“ - VII კლასელებს შორის	3 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ ჩატარდა მეგობრული ინტელექტუალური შეჯიბრი - „რა? სად? როდის?“ სკოლა „აპოდიქსისა“ და სკოლა „არეას“ VII კლასელებს შორის. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.822195937892389.1073741926.100003059724747&type=3&pnref=story	3.12.15

18.	ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა...	9 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ისტორიული ვიქტორინა - ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლა „აპოდიქსისა“ (გუნდი - „კლიო“) და მეგობარი სკოლა „არეას“ (გუნდი - „ჰეროდოტე“) IX კლასის მოსწავლეები; საბოლოო ჯამში, ქულათა მეტი მაჩვენებლით, გამარჯვება წილად ხვდა სკოლა „არეას“ IX კლასელთა გუნდს - „ჰეროდოტეს“. (ლონისძიების ხელმძღვანელი - ელენე როგავა) https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.824874334291216&type=3&pnref=story	9.12.15
19.	ინტელექტ - ტესტი VIII - IX კლასებში	10 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ VIII და IX კლასებში ჩატარდა მოაზროვნეთა გამოსავლენი ტესტირება. ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში „მოაზროვნე“, რომელიც ჩატარდება 16 დეკემბერს სკოლა „აპოდიქსში“. https://web.facebook.com/photo.php?fbid=825351207576862&set=a.185144294930893.34256.100003059724747&type=3&theater	10.12.15
20.	სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურში გადასულ მოსწავლეთა დაჯილდოება	15 დეკემბერს ქალაქ ზუგდიდში, N2 საჯარო სკოლაში, სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურში გადასულ მოსწავლეთა დაჯილდოება გაიმართა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის - მათა მიმინოშვილის მიერ დაჯილდოვდა სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლე - გიორგი ხორავა.	15.12.15
21.	„მოაზროვნე“ სკოლა „აპოდიქსის“ VIII და IX კლასებში	16 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ VIII და IX კლასებში ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება - „მოაზროვნე“; გამარჯვება მოიპოვა IX კლასის მოსწავლე - ანა შონიამ. მეორე ადგილი მოიპოვა - სალომე კაკულიამ (IX კლ.), ხოლო მესამე ადგილი - ანა გოროზიანმა (IX კლ.). გამარჯვებულ მოსწავლეს გადაეცა სიგელი და ფასიანი საჩუქრები, მეორე - მესამე ადგილის მფლობელ მოსწავლეებს - სიგელები. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.828298133948836.1073741930.100003059724747&type=3&pnref=story	16.12.15
22.	პროექტი - „საშიში დაავადებები“	17 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ მე-8 კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს პროექტის - „საშიში დაავადებები“ პრეზენტაცია; აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოამზადეს - ნარკომანიის, შიდსის და C - ჰეპატიტის შესახებ პლაკატები, კედლის გაზეთები, ბროშურები; მოიძიეს ინფორმაცია, გამოკითხეს თანამოქალაქეები, ჩაწერეს ინტერვიუები იმ პროფესიის ადამიანებთან, რომლებსაც მოეთხოვებათ სტერილური ინსტრუმენტების გამოყენება და დიდი სიფრთხილე საშიში დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. (პროექტის ხელმძღვანელი - დარეჯან კიკილაშვილი). პროექტის მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდებიან სიგელებით. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.828783993900250.1073741931.100003059724747&type=3	17.12.15

23.	VI – VII კლასების „ყველაზე ჭკვიანის“ შესარჩევი ტურის შედეგები	23 დეკემბერს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება VI – VII კლასებში. ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ყველაზე ჭკვიანი“, რომელიც ჩატარდება სკოლა „აპოდიქსში“ 24 დეკემბერს. https://web.facebook.com/photo.php?fbid=831944696917513&set=a.185144294930893.34256.100003059724747&type=3&theater	24. 12. 15
25.	საახალწლო ღონისძიებები	<p>1. „აპოდიქსის“ პირველი კლასის საახალწლო ღონისძიება ხელმძღვანელი - მკა გიორგაძე https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.832584003520249.1073741933.100003059724747&type=3&pnref=story</p> <p>2. „აპოდიქსის“ II კლასის საახალწლო ღონისძიება ხელმძღვანელი - ლია წოწერია https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.832645840180732.1073741934.100003059724747&type=3&pnref=story</p> <p>3. „აპოდიქსის“ III და IV კლასის საახალწლო ღონისძიება ხელმძღვანელი - ანა კილასონია https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.832674590177857.1073741935.100003059724747&type=3&pnref=story</p> <p>4. „აპოდიქსის“ V კლასის საახალწლო ღონისძიება ხელმძღვანელი - თეა თაქთაქიშვილი https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.832693856842597.1073741936.100003059724747&type=3&pnref=story</p> <p>5. „აპოდიქსის“ VI კლასის საახალწლო ღონისძიება ხელმძღვანელი - ლელა გაბრავა https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.832699606842022.1073741937.100003059724747&type=3&pnref=story</p>	24. 12. 15
26.	სკოლა „აპოდიქსის“ VI და VII კლასების „ყველაზე ჭკვიანი“	24 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ VI და VII კლასებში ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება - „ყველაზე ჭკვიანი“; გამარჯვება მოიპოვა VII კლასის მოსწავლე - ცისმარი ლომიაძე. მეორე ადგილი - მარიამ ვეკუამ (VII კლ.), ხოლო მესამე ადგილი თანაბრად გაინაწილეს მოსწავლეებმა: ნია რუსიამ (VI კლ.) და მარიამ სანაიამ (VII კლ.). გამარჯვებულ მოსწავლეს გადაეცა სიგელი და ფასიანი საჩუქრები, მეორე - მესამე ადგილის მფლობელ მოსწავლეებს - სიგელები. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.832705533508096.1073741938.100003059724747&type=3&pnref=story	24.12.15
27.	პირველი „აპოდიქსელების“ საახალწლო ზეიმი...	29 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა XII კლასელების წინასახალწლო ღონისძიება - პირველი „აპოდიქსელების“ საახალწლო ზეიმი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, ასევე VIII, X და XI კლასის მოსწავლეებიც. ღონისძიების ხელმძღვანელი - მაია ოდიშარია.	29. 12.. 15

		https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.835962556515727.1073741939.100003059724747&type=3&pnref=story	
28.	„თოვლის პაპა ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი“	29 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ VIII კლასელებმა წარმოადგინეს საახალწლო სპექტაკლი - „თოვლის პაპა ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი“. ღონისძიების ხელმძღვანელი - გულისა გეგეშიძე (კლასის დამრიგებელი - ლია წოწერია). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.835985259846790.1073741940.100003059724747&type=3&uploaded=27	29. 12.. 15
29.	„ურჩი ბაჭია“	სკოლა „აპოდიქსის“ პატარებს თოჯინების თეატრი სტუმრობდა სპექტაკლით - „ურჩი ბაჭია“. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.868234376621878.1073741941.100003059724747&type=3&uploaded=8	02.03.16
30.	„თოვლდა და თბილისს ებურა თალხი...“	სკოლა „აპოდიქსის“ მე-7 კლასში ჩატარდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელიც მიემდგვნა 1956 წლის ტრაგედიის მე-60 წლისთავს. მოსწავლეებმა ასევე გაიხსენეს 1921 წლის 25 თებერვლის გმირები და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. (ხელმძღვანელები: გულისა გეგეშიძე; ლელა გაბრავა). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.872065099572139.1073741942.100003059724747&type=3&pnref=story.unseen-section	09/03.16
31.	რა? სად? როდის? (X-XII კლასებში)	10 მარტს, სკოლა „აპოდიქსის“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“ შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ X, XI და XII კლასის მოსწავლეები; გამარჯვებული გუნდის წევრები, სკოლის დირექციისაგან, დაჯილდოვდნენ სახალისო საჩუქრებით. თამაშის ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი (მოპოვებული ადგილების მიხედვით). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.872596729518976.1073741943.100003059724747&type=3&uploaded=17-	10.03.16
32.	სტუმრად სენაკის რაიონულ სასამართლოში	17 მარტს, სკოლა „აპოდიქსის“ IX კლასის მოსწავლეებმა და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა - გია ოდიშარიამ მოაწყვეს საინტერესო გასვლითი ღონისძიება სენაკის რაიონულ სასამართლოში. სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ქ-ნმა დარეჯან კვარაცხელიამ გულთბილად მიიღო ბავშვები (თითოეულს მოსწავლეს გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციული დისკი). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.876830039095645.1073741944.100003059724747&type=3&pnref=story	17.03.16
33.	„ყველაზე ჭკვიანი“ V - VI კლასებში	23 მარტს, სკოლა „აპოდიქსის“ V და VI კლასებში ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება - „ყველაზე ჭკვიანი“; გამარჯვება მოიპოვა VI კლასის მოსწავლე - ნია რუსიამ. II ადგილი - თამთა უბილაყამ (VI კლ.), III ადგილი - დათო კორსავამ (VI კლ.), IV ადგილი - ნანა ქვარცხავამ (V კლ.). გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელი და ფასიანი საჩუქრები; https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.881204895324826.1073741945.100003059724747&type=3&pnref=story	23.03.16

34.	ეტალონის შედეგები	<p>30 მარტს, სკოლა „აპოდიქსის“ XI - XII კლასებში ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება - „ეტალონი“; I ადგილი მოიპოვა - ნუკრი ადამიამ, II ადგილი - გიორგი ხორავამ, ხოლო III ადგილი ორმა მოსწავლემ - ლუკა ჯაკობიამ და ლიკა ცხომარიამ გადაინაწილა.</p> <p>გამარჯვებული მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით, მეორე - მესამე ადგილის მფლობელ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.</p> <p>https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.887355161376466.1073741946.100003059724747&type=3&pnref=story</p>	30.03.16
35.	ვიქტორინა - ქართულ ენასა და ლიტერატურაში	<p>4 აპრილს, სკოლა „აპოდიქსის“ ჩატარდა მეგობრული ვიქტორინა - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სკოლა „აპოდიქსისა“ და მეგობარი სკოლა „არეას“ VII კლასელებს შორის. ვიქტორინა ფრედ დასრულდა ორივე გუნდმა 12 - 12 ქულა მოიპოვა (ხელმძღვანელი - გულისა გეგეშიძე).</p> <p>https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.891042844341031.1073741948.100003059724747&type=3&pnref=story</p>	4.04.16
36.	„რა? სად? როდის?“ XI - XII კლასებში	<p>6 აპრილს, სკოლა „აპოდიქსის“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“ XI - XII კლასებში. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა აღნიშნული კლასების ყველა მოსწავლე.</p> <p>გამარჯვებული გუნდის წევრები: ნიკა კორშია, ანი მუკბანიანი, სალომე სასანია, გიორგი ქარდავა, ნიკა ქეცბაია, ლუკა ჯაკობია, ნიკა წურწუმია.</p> <p>https://web.facebook.com/photo.php?fbid=892711750840807&set=a.185144294930893.34256.100003059724747&type=3&theater</p>	6.04.16
37.	ვიქტორინა - ქართულ ენასა და ლიტერატურაში	<p>11 აპრილს, სკოლა „აპოდიქსის“ ჩატარდა მეგობრული შეჯიბრი - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სკოლა „აპოდიქსისა“ და მეგობარი სკოლა „არეას“ IX კლასელებს შორის.</p> <p>გამარჯვება მოიპოვა სკოლა „აპოდიქსის“ IX კლასმა. ვიქტორინა ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის - გულისა გეგეშიძის და ინტელექტ - კლუბის ერთობლივი ორგანიზებით. გამარჯვებული გუნდის თითოეულ წევრს გადაეცა სიგელი.</p> <p>https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.894960343949281.1073741949.100003059724747&type=3&uploaded=9</p>	11.04.16
38.	საჩვენებელი გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში	<p>12 აპრილს, კერძო სკოლა „აპოდიქსის“ X კლასში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემაზე: ფატმან ხათუნის სახე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. მოსწავლეებმა იმსჯელეს პერსონაჟის დადებით და უარყოფით თვისებებზე (ხელმძღვანელი - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - მერი წირღვავა).</p> <p>https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.896124303832885.1073741950.100003059724747&type=3&uploaded=3</p>	13.04.16

39.	„ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ...“	14 აპრილს, სკოლა „აპოდიქსის“ I – II კლასეში ჩატარდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ...“ პატარებმა ქართული ენის დღე დღესასწაულად აქციეს (ხელმძღვანელი - მაკა გიორგაძე). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.896633643781951.1073741951.100003059724747&type=3&uploaded=54	14. 04. 16
40.	„ბრემნელი მუსიკოსები“	სკოლა „აპოდიქსის“ დღეს პატარა მსახიობები ესტუმრნენ - მეგობარი სკოლა „არეას“ IV კლასიდან; მათ წარმოადგინეს თოჯინების თეატრი თემაზე - „ბრემნელი მუსიკოსები“ და მხიარული წარმოდგენით გაახალისეს თანატოლები (ხელმძღვანელი - თეა ბერაია). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.897124667066182.1073741952.100003059724747&type=3&uploaded=16	15. 04. 16
41.	რა? სად? როდის? - მეგობრული შეჯიბრი	20 აპრილს, სკოლა „აპოდიქსის“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლა „აპოდიქსისა“ და მეგობარი სკოლა „არეას“ მოაზროვნეები. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.899789850132997.1073741953.100003059724747&type=3&uploaded=10	20.04.16
42.	რა? სად? როდის? - II მეგობრული შეჯიბრი	22 აპრილს, მეგობარ სკოლა „არეასში“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლა „აპოდიქსისა“ და სკოლა „არეას“ მოაზროვნეები. თამაში საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, ორივე გუნდმა ინტელექტის მაღალი დონე უჩვენა. საბოლოოდ, უპირატესობა სკოლა „აპოდიქსის“ გუნდმა მოიპოვა. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.900832353362080.1073741954.100003059724747&type=3	22.04.16
43.	ლიდერი სკოლა ლიდერობს...	პროექტ „ინტელექტის დღე - 2016“-ში სკოლა „აპოდიქსის“ ინტელექტუალთა გუნდი ისევ ლიდერთა სიაშია: 17 მუნიციპალურ გუნდს შორის მან ქულით მეორე ადგილი მოიპოვა. „ინტელექტის დღე“ წელს უკვე მეხუთედ გაიმართა. ბოლო ორი წელი, ზედიზედ, სკოლა „აპოდიქსის“ გუნდი იყო ჩემპიონი მუნიციპალურ ტურნებში და წარმატებით ასპარეზობდა ფინალურ ტურნებშიც, წელს კი სულ ერთი ქულა დააკლდა, თუმცა ისევ ლიდერთა სიაშია... „აპოდიქსის“ ინტელექტუალები: ნიკა კორშია, გია ხორავა, ნინო გოგია, თაზო გაგუა, ანი მუკბანიანი, ლუკა ჯაკობია, სალომე სასანია, ავთო ბერაია, მაგდა კუხალიეშვილი, თორნიკე ხოფერია, ნუკრი ადამია. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.901385753306740.1073741955.100003059724747&type=3&pnref=story	23.04.16
44.	„საზოგადოება ზრუნავს ბუნებაზე“	22 აპრილს სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა მოსწავლეთა #2 კონფერენცია - „საზოგადოება ზრუნავს ბუნებაზე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლა „აპოდიქსის“ IX კლასის მოსწავლეებმა: თამარ ბაღათურიამ, ლიზი ყურაშვილმა, სალომე კაკულიამ, ანა შონიამ და მარიამ ქაქუთიამ. კონფერენციის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.	22.04.16

		https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.903710899740892.1073741956.100003059724747&type=3&uploaded=8	
45.	„გიყვარდეთ ერთმანეთი“	25 აპრილს, სკოლა „აპოდიქსისა“ და „არეას“ IX კლასელთა შორის ჩატარდა ღონისძიება - აქცია, სახელწოდებით - „გიყვარდეთ ერთმანეთი“. მოსწავლეებმა ორიგინალურად განახორციელეს ჩანაფიქრი და მოუწოდეს მსმენელს, იყვნენ მიმტევებელი და უყვარდეთ ერთმანეთი... (ხელმძღვანელი - გულისა გეგეშიძე). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.904635042981811.1073741957.100003059724747&type=3&pnref=story	25.04.16
46.	რა? სად? როდის? – X კლასელების მეგობრული შეჯიბრი	25 მაისს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლა „აპოდიქსისა“ და სკოლა „არეას“ X კლასის მოსწავლეები. საბოლოოდ, უპირატესობა სკოლა „აპოდიქსის“ გუნდმა მოიპოვა. გამარჯვებული გუნდის თითოეულ წევრს გადაეცა სიგელი. https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.919576568154325.1073741958.100003059724747&type=3&pnref=story	25.05.16
47.	„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“	სკოლა „აპოდიქსის“ III - IV კლასებში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე - „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“ მოსწავლეებმა ისაუბრეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებზე, მათ ღირსშესანიშნაობებზე. წაიკითხეს ლექსები და კიდევ ერთხელ შეასხეს ხოტბა ჩვენს ლამაზ საქართველოს (ხელმძღვანელი - ლელა გაბრავა). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.925504664228182.1073741960.100003059724747&type=3&uploaded=9	26.05.16
48.	„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“	<ul style="list-style-type: none"> • სკოლა „აპოდიქსის“ III - IV კლასებში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე - „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“ • მოსწავლეებმა ისაუბრეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებზე, მათ ღირსშესანიშნაობებზე. წაიკითხეს ლექსები და კიდევ ერთხელ შეასხეს ხოტბა ჩვენს ლამაზ საქართველოს (ხელმძღვანელი - ლელა გაბრავა). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.925504664228182.1073741960.100003059724747&type=3&uploaded=9	26.05.16
49.	კურსდამთავრებული პირველი „აპოდიქსელები“	30 მაისს, სკოლა „აპოდიქსმა“ პირველ „აპოდიქსელებს“ დაულოცა გზა. კურსდამთავრებულებმა, კიდევ ერთხელ, გაამხიარულეს სკოლა „აპოდიქსის“ კედლები - ჟრიამულით, თამაშით, ცეკვა - სიმღერით (ხელმძღვანელია - მაია ოდიშარია). https://web.facebook.com/apodiqsi/media_set?set=a.923312827780699.1073741959.100003059724747&type=3&uploaded=30	30.05.16

დამატებითი ინფორმაცია, ასევე, ფოტო და ვიდეო მასალა, შეგიძლიათ იხილოთ სკოლა „აპოდიქსის“ facebook -ის გვერდზე - Skola Apodiqsi